მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.17.07.024.009

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882015187839 - 03/04/2015 12:56:29

მომზადების თარიღი
03/04/2015 17:43:04

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ისანი		
01	17	07	024/009

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა პატარიძე , მიმდებარედ (ნაკვეთი 024/009)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 512.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 024;

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015187839 , თარიღი 03/04/2015 12:56:29
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/04/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ხელშეკრულება უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ , დამოწმების თარიღი:03/04/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "მანუ" , ID ნომერი:406060220

მესაკუთრე:
შპს "მანუ"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ხელშეკრულება

უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ქ. თბილისი 24. 03. 2015წ.

§1. ხელშეკრულების მხარეები

ეს ხელშეკრულება დადებულია მხარეებს შორის:

ერთის მხრივ, **მოქალქე შალვა ცერცვაძრე** ს//ნ 01012000622, მისამართი: ქ. თბილისი, ვაზისუბანის 1 მ/რ, მე-13 კორპუსი, ბინა 80-ი, შემდეგში: **„საკუთრების გადამცემი "** და

მეორეს მხრივ, **შპს „მანუ", საინდიფიკაციო კოდი 406060220,** წარმოდგენილი დირექტორის **პაატა აბესაძის**: მიერ, შემდეგში: **„საკუთრების მიმღები "-**

§2. ხელშეკრულების საგანი

(1) ამ ხელშეკრულების საფუძველზე შალვა ცერცვაძე-საკუთრების გადამცემი, მის საკუთრებაში არსებულ **512 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთს, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ქ. თბილისის მერიასთან შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს მშენებლობის ნებართვით, გადასცემს** შპს „მანუ"-ს–(საკუთრების მიმღებს):

- მისამართი: ქ. თბილისი, ვაზისუბანი, პატარიძის ქუჩა.
- ნაკვეთის ფუნქცია: არა სასოფლო-სამეურნეო.
- საკადასტრო კოდი: 01.17.07.024.009.

(2) საკუთრების მიმღებს უძრავი ნივთი გადაეცემა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

(3) ხელშეკრულების საგანი საკუთრების უფლებით გადაეცემა შპს „მანუ"-ს.

§3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

(1) საკუთრების გადამცემი ვალდებულია:

1. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ხელშეკრულების საგანი (მიწის ნაკვეთი ს/კოდი 01.17.07.024.009) საკუთრების უფლებით გადასცეს საკუთრების მიმღებს;
2. უზრუნველყოს საკუთრების მიმღები თავისუფლად გამოიყენოს მიწის ნაკვეთი და არქიტექტურული პროექტი ამ ხელშეკრულების პირობებისა და მიზნების შესაბამისად;
3. გადასცეს საკუთრების მიმღებს ხელშეკრულების საგანი მიწის ნაკვეთი ს/კოდი 01.17.07.024.009 შეთანხმებული პირობებით, კერძოდ: შემოღობილ მდგომარეობაში, დამხმარე სათავსოთი, ელექტრო და წყლის კომუნიკაციებით, ასაშენებელი სახლის შესაბამის სამსახურებთან შეთანმებული არქიტექტურული პროექტი მშენებლობის ნებართვით (ბრძანება 1788004), ვინმეს წინაშე ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე.

(2) საკუთრების მიმღები ვალდებულია:

1. საკუთრების მიმღები უფლებამოსილია ხელშეკრულებით გადაცემულ ობიექტზე აწარმოოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიასთან შეთანხმებული პროექტის (ბრძანება № 1788004) შესაბამისად, შეიტანოს სამშენებლო მასალები, ტექნიკური საშუალებები და სხვა მატერიალური ფასეულობები, რაც მისთვის აუცილებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის.
2. შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად გადასცეს საკუთრების გადამცემს- შალვა ცერცვაძეს 270 კვ.მ. საცხოვრებელი და 100 კვ.მ. საოფისე ფართების თეთრ კარკას (მოჭიმული იატაკითა და შელესილი კედლებით)
3. საკუთრების გადამცემს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს საკუთრების მიმღებისაგან მშენებლობის პროცესის დათვალიერება და სურვილისამებრ მშენებლობის პროცესში მონაწილეობის მიღება შპს „მანუ-“ს წარმომადგენლებთან წინასწარი შეთანხმებით.

§4. სახელშეკრულებო ვადა

(1) ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

(2) ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 1017 წლის 31 დეკემბრამდე.

§5. საცხოვრებელი ფართის გადაცემის წესი და ოდენობა.

1. საკუთრების მიმღები-შპს „მანუ” საკუთრების გადამცემს- შალვა ცერცვაძეს გადასცემს ქ. თბილისის მერიასთან შეთანხმებული პროექტის, საჯარო რეესტრში საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციისა და განშლის შესაბამისად, 270 კვ.მ.

საცხოვრებელი და 100 კვ.მ. ფართის საოფისე ფართის თეთრ კარკას (მოჭიმული იატაკითა და შელესილი კედლებით)

2. საკუთრების მიმღები §5.1 ნაწილით განსაზღვრულ ქონებას გადასცემს 2017 წლის 01 მაისამდე.
3. თუ საკუთრების მიმღები გადააცილებს ქონების გადაცემის ვადას, მაშინ იგი ვალდებულია საკუთრების გადამცემს დამატებით გადაუხადოს პირგასამტეხლო, რომელიც შეადგენს გადასაცემი ქონების თანხის 0,01% თითოეულ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

§6. ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) ხელშეკრულება წყდება სახელშეკრულებო ვადის გასვლის შედეგად.

(2) ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

(3) საკუთრების გადამცემს- შალვა ცერცვაძეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

- საკუთრების მიმღები არადანიშნულებისამებრ (ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საქმიანობისათვის) იყენებს ხელშეკრულებით მიღებულ ქონებას;

(4) საკუთრების მიმღებს შპს „მანუ"-ს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

- მას არ გადაეცა ხელშეკრულებით აღებული ქონება ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში;
- გადაცემის შემდეგ წაერთვა ხელშეკრულებით აღებული ქონების სარგებლობის უფლება;
- გაფრთხილების მიუხედავად საკუთრების მიმღებმა არ აღმოფხვრა ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლი, რომლის აღმოფხვრაც მას ეკისრება.
- ხელშეკრულება ცალმხრივად წყდება მეორე მხარისათვის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინებიდან 1 (ერთი) თვის შემდეგ.

§7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

(1) თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის.

(2) თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

(3) დაუძლეველი ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:
ხანძარი, აფეთქება, მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვა სტიქიური უბედურება;

(4) ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

§8. დამატებითი პირობები

(1) წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს, ხოლო ერთი-საჯარო რეესტრს.

(2) ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით ახალი გარიგების დადებით.

(3) სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების ან ხელშეკრულების სხვაგვარად შეწყვეტის შედეგად, სკუთრების მიმღებმა საკუთრების გადამცემს უნდა დაუბრუნოს ქონება იმავე მდგომარეობაში, რაც მან მიიღო. ამასთან, მხარეებმა ერთმანეთის წინაშე უნდა შეასრულონ ის ვალდებულებები, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა და არ შესრულებულა.

(4) **საჯარო რეესტრს ეთხოვოს დაარეგისტრიროს მოქ. შალვა ცერცვაძის მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.07.024.009 შპს „მანუ"-ზე ამ ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულებებისა და შეზღუდვების გარეშე.**

საკუთრების გადამცემი: შალვა ცერცვაძე

საკუთრების მიმღები:
შპს „მანუ"-ს დირექტორი პაატა აბესაძე.